ქართული ქრონიკა

№ 42

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი

30 ივნისი 1989

გამოდის 1988 წლის 10 მაისიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ [illegible]!

სულ რაღაც ორი თვე გავიდა აპრილის ტრაგიკული დღეებიდან და ამ ორი თვის განმავლობაში აპრილის მარცხით გამწარებულმა მტერმა უკვე ორი "მშვიდობიანი" პროვოკაციის მოწყობა მოასწრო ქართველი ერისათვის. ფერგანაში დატრიალებულმა ეთნიკურმა ტრაგედიამ თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა საქართველო, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ უბედურ ფაქტზე, რომელიც ქართველ ერს თავისი ერთი მეზობლის თავზარდამცემმა უბედურებამ მოიტანა, უბედურებამ, რომლის თავი და თავი ისევ კრემლია, თავისი ბინძური საქმეებით - აჭარით, აფხაზეთით. და აი, ჯერ ფერგანის ტრაგედიიდან სასურველი ნაყოფი არ [illegible], ახალი პროვოკაცია! რამოდენიმე დღის წინ უეცრად უკიდურესად გამწვავდა მდგომარეობა აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებულ მარნეულისა და ბოლნისის რაიონებში. ამ რაიონებში მცხოვრები კრემლის პოზიციით შეგულიანებული აზერბაიჯანელების მიერ წამოყენებული მოთხოვნები იმდენად უტიფარია და იმდენად სცდება ყოველგვარ საზღვრებს, რომ სიბრაზის მაგივრად გაოცებას იწვევს. ამიტომაც სავსებით ბუნებრივი და გასაგებია ქართველთა, განსაკუთრებით კი ზ.ა. რაიონებში მცხოვრებ ქართველთა, სამართლიანი გულისწყრომა. სწორედ ეს გახდა საფუძველი ქართველთა და აზერბაიჯანელთა შორის კონფლიქტისა, რომელიც მათ შორის ფიზიკური შეტაკებით დასრულდა. ახლა მარნეულსა და ბოლნისში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარი იმყოფება, რათა თავიდან იქნას აცილებული მოსალოდნელი სისხლიანი შეტაკებანი. ჩვენის მხრივ კი დავძენთ, რომ მარნეულსა და ბოლნისში მოვლენების დამშვიდებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის. თუ რატომ, ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, ამაზე 9 აპრილს დაღვრილი წმინდა სისხლი ღაღადებს, სისხლი, რომელმაც საქართველო "აფხაზეთის" პროვოკაციისაგან და, საბოლოო ჯამში, დაღუპვისაგან იხსნა. სამწუხაროდ, საქართველოში საკმარისზე მეტია ასეთი ფეთქებადი წერტილები - მარნეული, ბოლნისი, დმანისი, აფხაზეთის ე.წ. ასსრ, ოსეთის ე.წ. ავტონომიური ოლქი, აჭარის ე.წ. ასსრ, დღესდღეობით აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე საინგილო... ყოველ წუთს მოსალოდნელია, რომ ნებისმიერ ამ რეგიონში ახალ-ახალი პროვოკაციები შემოგვთავაზონ, პროვოკაციები, რომლებზეც წამოგება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ისევე, როგორც არ წამოეგო მათზე ქართველი ერი აპრილის დღეებში. ქართველთა გულისწყრომა მარნეულსა და ბოლნისში, ისევე, როგორც ოსეთში, აფხაზეთში, საინგილოში და ა.შ. ბუნებრივი და სამართლიანია, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ამ გაბრიყვებული [illegible] - აზერბაიჯანელების, ოსების, აფხაზების უკან იმპერიალისტური რუსეთი დგას, და ჩვენი რისხვაც სწორედ მის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული. მსგავს შემთხვევებში პროტესტისათვის სხვა სახისა და მიმართულების სიცემა პოლიტიკურად ყოვლად გაუმართლებელი და [illegible] ნაბიჯია. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ კრემლის და არა მისი ბრმა იარაღის წინააღმდეგ, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოში ჩვენთვის პრობლემა აღარ იქნება, ვიბრძოლოთ პოლიტიკური ფორმებით და არავითარ შემთხვევაში შეიარაღებული გამოსვლებით, რაც ისევე არარეალური და [illegible] (ზიანის გარდა) საშუალებაა დღევანდელ მდგომარეობაში მყოფი საქართველოსათვის, როგორც დღეს ფართოდ რეკლამირებული არარსებული "პარლამენტური", "კონსტიტუციური" გზა. ჩვენი მიზანია დამოუკიდებლობის აღდგენა. გვახსოვდეს, რომ სანამ საქართველო კრემლის განმგებლობაშია, მარნეულისა და ბოლნისის მსგავსი პრობლემები მუდამ იარსებებს, რამეთუ იარსებებს მათი ინსპირატორიც - მსგავს და ყველა სხვა საკითხში ჩვენი პროტესტისა და ბრძოლის ერთადერთი ადრესატი.

გვახსოვდეს 9 აპრილს დაღუპულთა წმინდა სულები, რომლებიც ჩვენგან ჩვენი წმიდათაწმიდა მიზნის აღსრულებას მოელიან. ყველა ერთად ვიბრძოლოთ დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს აღდგენისათვის. ღმერთი არის ჩვენთან.

ირინა სარიშვილი

"სტუმრები" აზერბაიჯანიდან

შაბათს, 24 ივნისს, მარნეულში გაიმართა მიტინგი, რომელიც აფხაზური ვარიანტის ხელახალი გათამაშების დასაწყისია. მრავალი ფაქტი, მათ შორის, ის, რომ ამ მღელვარებას რაიკომის მდივნები, აღმასკომის თავმჯდომარეები და სხვა ოფიციალური პირები უძღვანან სათავეში, ბევრ რამეზე მეტყველებს. ბევრჯერ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ - ძალადობის გზა ჩვენი გზა არ არის. მესმის, ძნელია ამის თქმა მარნეულელი ქართველებისათვის, რომელიც ყოველწამს, ყოველწუთს განიცდიან დევნა-შევიწროებას საკუთარსავე მიწაზე, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის: ჩვენ იარაღით შევძლებთ აზერბაიჯანელთა შეტევის მოგერიებას, მაგრამ ვინც მათ უკან დგას, მისი იარაღით დამარცხება შეუძლებელია. ეს კონფლიქტი უნდა მოგვარდეს პოლიტიკური გზებით, ყველაფერს უნდა დაერქვას თავისი სახელი, პროვოკატორებს ნიღაბი უნდა აეხადოთ, ხმამაღლა უნდა ვთქვათ, თუ ვინ დგას მარნეულელი "ავტონომისტების" უკან. ჩვენ - საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - მოვუწოდებთ ქართულ მოსახლეობას, მათ შორის თბილისელებსაც, სიმშვიდისაკენ, რათა პროვოკაციის მსხვერპლნი არ გავხდეთ და ეროვნულ მოძრაობას ზიანი არ მივაყენოთ.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის
თავმჯდომარე გიორგი ჭანტურია

მარნეულში მცხოვრები აზერბაიჯანელების მიერ 24 ივნისის მიტინგზე წამოყენებული მოთხოვნები:

1. ავტონომია
2. რაიონის და ქალაქის შეერთება (იგულისხმება ქ.მარნეული და მარნეულის რაიონი)
3. სვანების გასახლება
4. მარნეულისათვის სახელის გადარქმევა ბორჩალოდ
5. აზერბაიჯანული ტოპონიმიკის შემოღება
6. ხელმძღვანელების დემოკრატიული პრინციპით არჩევა
7. საქართველოს ტელევიზიაში აზერბაიჯანული პროგრამისათვის საათების დამატება
8. რუსთაველის საზოგადოებისა და სახალხო ფრონტის ჩაურევლობა მარნეულის ცხოვრებაში.
9. [illegible] სახელობის არაფორმალური ორგანიზაციის დაარსება
10. პერიოდიკის რესპუბლიკის გარეთ გაგზავნის აკრძალვის გაუქმება
11. აზერბაიჯანული გაზეთის დაარსება
12. ქართული ენის სტატუსის გაუქმება მარნეულის რაიონში

……

ულტიმატუმი - მოთხოვნები დაკმაყოფილებული უნდა იქნას 1989 წლის 8 ივლისამდე.

რაც შეეხება მოთხოვნათა მე-10 პუნქტს, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აზრით, აზერბაიჯანელებმა, თავისდაუნებურად, წამოაყენეს ქართველთათვისაც არანაკლებ მნიშვნელოვანი მოთხოვნა, რადგანაც პერიოდიკის რესპუბლიკის გარეთ გაგზავნის აკრძალვა (საქართველოში მცხოვრები "[illegible]" კიდევ ერთი ნაყოფი), ქართულ მოსახლეობასაც ეხება. (რედ.შენ.).

---

* * *

25 ივნისს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია-IV დასის მძღოლთა კომიტეტის ინიციატივით მოეწყო თბილისის ტროლეიბუსთა და ტაქსების მძღოლთა მიტინგი, რომელიც დაიწყო იპოდრომზე დღის 3 საათზე. მიტინგი არასანქცირებული იყო: ქალაქის აღმასკომმა მძღოლებს არ მისცა სანქცია იმ მოტივით, რომ 3 საათის [illegible] მოწყვეტა გამოიწვევდა საქალაქო ტრანსპორტის მუშაობის შეფერხებას). მიტინგი, რომელსაც დაახლოებით 500 კაცი ესწრებოდა, გახსნა მძღოლმა გურამ პერანიძემ. სიტყვებით გამოვიდნენ მძღოლები: გია ქარელიძე, [illegible] ლომთაძე, მერაბ არნანია; მძღოლებმა ისაუბრეს სოციალურ საკითხებზე; აღნიშნეს, რომ საჭიროა [illegible] შეიძლება მეტი მძღოლის ჩართვა ეროვნულ მოძრაობაში და ა.შ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კლუბის [illegible] კარლო მარდაველიძე ისაუბრა ეროვნული მოძრაობის წინაშე მდგარ პრობლემებზე. მიტინგი დახურა გიორგი ჭანტურიამ, რომელიც თავის სიტყვაში შეეხო მესხების პრობლემას, მარნეულსა და ბოლნისში გამწვავებული სიტუაციისადმი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამოკიდებულებას და, საერთოდ, ასეთ შემთხვევებში მისაღები ბრძოლის ფორმებს. აღნიშნა აგრეთვე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოზიცია სახალხო ფრონტთან დაკავშირებით: ფრონტი, რაოდენ რადიკალური პროგრამა არ უნდა მიიღოს მან, მაინც ე.წ. ხელისუფლების კონტროლის ქვეშ იქნება და მის პრესტიჟს ვერც [illegible] პატიოსანი და უკომპრომისო პირები გადაარჩენენ.

არასანქცირებული მიტინგისათვის მილიციას ხელი არ შეუშლია.

მიტინგზე მიღებულ იქნა რეზოლუცია. ვაქვეყნებთ მის ტექსტს:

რეზოლუცია

1. მოიხსნას საქალაქო ტრანსპორტზე სახელმწიფო გეგმა
2. გაიზარდოს მძღოლთა საშუალო ხელფასი 500 მანეთამდე
3. გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულებები მძღოლებსა და ადმინისტრაციას შორის თანასწორუფლებიანობის პრინციპზე კოლექტიურ-საერთო გეგმაზე
4. გაუმჯობესდეს მძღოლთა სამუშაო პირობები:
   ა) შესვენების საათებში მძღოლები უზრუნველყოფილი იქნან ცხელი კერძებით;
   ბ) გაუქმდეს სადისპეტჩერო ჯიხურები, დაიდგას შტამპ-საათები და რადიოფიცირებულ იქნას ყველა სახის საერთო სარგებლობის ტრანსპორტი;
   გ) დაწესდეს 5-დღიანი სამუშაო კვირა.
5. მძღოლები უზრუნველყოფილი იქნან ტექნიკურად გამართული ტრანსპორტით
6. უზრუნველყოფილი იქნას მუდმივი ან დროებითი საცხოვრებელი ფართით ყველა უბინაო მძღოლი
7. რაც შეეხება ეროვნულ-პოლიტიკურ მოძრაობაში მძღოლთა კომიტეტის პოზიციას, იგი მთლიანად იზიარებს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამას და ორგანიზაციულად შედის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის IV დასში.

* * *

8. თუ ჩვენი მოთხოვნები ერთი თვის ვადაში - 25 ივლისამდე - არ იქნება დადებითად გადაწყვეტილი, ედპ-IV დასის მძღოლთა კომიტეტი 25 ივლისს, სამშაბათს, იწყებს 48-საათიან გამაფრთხილებელ გაფიცვას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის
ხელმძღვანელობას

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის განცხადება

გამოვთქვამთ ჩვენს უღრმეს აღშფოთებასა და პროტესტს დემოკრატიის იდეალებისათვის მებრძოლი ჩინელი ახალგაზრდობის წინააღმდეგ თქვენს მიერ გატარებული ბარბაროსული ღონისძიების გამო. გვწამს, ჩინელ ხალხს ვერც თქვენივე მოქალაქეთა უმოწყალო ხოცვა-ჟლეტა და ვერც ამ სისხლიანი აქციის შედეგად მიღებული "კანონიერი" მოწმეები ვერ შეაშინებს. პეკინში, ისევე როგორც თბილისში, დაღვრილი სისხლი თავის ნაყოფს გამოიღებს.

იმედია, დასავლეთი უახლოეს მომავალში ჯეროვან პოზიციას დაიკავებს ჩინეთისა და [illegible]თან მიმართებაში.

29.06.1989 წ.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის
მთავარი კომიტეტი:
გიორგი ჭანტურია
მამუკა გიორგაძე
ირაკლი ქადაგიშვილი
ირინა სარიშვილი
ვანო ხუხუნაიშვილი
გურამ ჩახვაძე
გიორგი ახალაია
თენგიზ გუდავა (აშშ).

მთ.რედაქტორი ირინა სარიშვილი ტ:39-79-18